ფასი ყველგან 10

იუმორისტული გაზეთი

მუამავალი

წელიწადი პირველი.

№ 8 კვირა, 2 სექტემბერი, 1907 წ. № 8

დალაქები.

მემამულე—ჰოოპუნა, ავხე, ავხე!
მღვდელი—ერთი ჩემი მკაცა ნახე
ვაჭარი—მე თუ თქვენ ჩამოგივარდე
ქალიაჩუნა დამიძახე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხის მამითადი.

(მიბაძვა)

საბრალო გლეხკაცისასა თავადნი ყანას მკიანო,
მღვდელნი უგრეხენ ულოსა, მთავარნი შეუკვრიანო,
ბერნი ურმებსა უბიან, „სტრაჟები“ მნასა ყრიანო,
გზირნი კევრებში შებმულნი კალოს გარს დარბენიანო:
ზედ კნიაჟნები უსხედან ტკბილ ხმაზე დასძახიანო,
ჩაფრები მარდათ უქცევენ, კალოსა გაუცხიანო
მამასახლისნი მისწევენ, მწერლები კუდით ჰკვიანო,
უაზასნი ანიავებენ და ჩარჩნი დაჰკმაზიანო.
ბლაღოჩინები ხურჯინით ორმოში ხორბალს ყრიანო,
მოურავები გაგზავნეს: პურს მალე დაგვიფქვიანო.
„ნაჩალნიკები“ გასცრიან, ზელენ და ამოჰქნიანო,
ბოქაულები ჩვეულნი ლავაშებს გააკვრიანო.
მონაზონ-აზნაურები მინდორში სუფრას შლიანო,
აფრინეს „შავი-რაზმელი“ ჯაშუშთა მოჰკრეფიანო.
სილამაზითა კნეინა შუაში ჩაისვიანო;
ერთი ყანწისტი თავადი თამადათ დაისვიანო!
საწყალი ჩვენი გლეხ-კაცი ცისეში შეაგდიანო.
თითონ სმენ! სჭამენ!! ლხინობენ!!! ჰვარალეს დასძახიანო!!!

ეშ[illegible]

პ ა რ ტ ი ე ბ ი

სოც. ფედერალისტები. ეს ერთი თვეა, ბათუმის კ—ტი ს. ფ. პარტიისა ლექციებს მართავს კარაპეტას პადვალში „კახური ღვინის სოციალიზაციის“ შესახებ.

ვისაც საკითხი გარკვეული აქვს და ადვილათ ითვისებს ერთ ფუთ ღვინოს, ლექციებზე უფასოთ უშვებენ. რადგანაც მესამე დუმის არჩევნებს პარტიამ „ბოიკოტი“ გამოუცხადა, ამიტომ ლექციას განსაკუთრებულის ენერგიით ეკიდება.

„ჭყონიების ტერორისტთა ბრბო. ახლად შემდგარ პოლიტიკურ-ეკონომიურ ბრბოს, ეგრეთ წოდებულ „ჭყონიების ტერორისტთა ბრბოს“, ჯერ ჯერობით აქტიური მოღვაწეობა არ დაუწყია. თავისი პროგრამით „ჭყონიების ბრბო“ ძლიერ უახლოვდება რუსულ პარტიას „რევოლიუციასა და ანარქიასთან აქტიურ მებრძოლთ.“ ბრბოს წევრობაში უპირატესობა კოტრ აზნაურებს ეძლევა.

ს. რევოლიუციონერ-შანტაჟისტებ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც სოფ. ბახვის მირა-მორე დაარსდა ეგრეთ წოდებული ს. რ. შანტაჟისტთა ჯგუფი. ჯგუფი ესე არც ისე მცირეა და მათი წარმომადგენელის სიტყვით დამოკიდებულება აქვს პარტიის ცენტრთან. ჯგუფი შეიარაღებული შეტაკების მომხრეა, რისთვისაც იარაღის შესაძენი ფ უ ლ ე ბ ი ს მ ო გ რ ო ვ ე ბ ა უმთავრეს სამოქმედო მიზნათ აქვს დასახული. ორი პარტიზანული გამოსვლა უკვე მოასწრო და თუ შემდეგშიაც ასე იმოქმედა სულ ახლო მომავალში მთელ „შეგნებულ“ ნაწილს მიიმხრობს.

პირველ ყოვლისა ერთ ვაჭარს ეწვივნენ და 100 მან. მოსთხოვეს ი ა რ ა ღ ი ს ა თ ვ ი ს. ვაჭარს ფულები არ აღმოაჩნდა და უკუ იქცენ. რამოდენიმე ხნის შემდეგ კვალად მიიგრაგნენ აღნიშნულ ვაჭართან და გამოუცხადეს: „რადგანაც შენ 100 მან. არ მოგვეცი, ამიტომ 400 მანეთით გაჯარიმებთო.“ მაგრამ დახეთ უბედურებას: ვაჭარს არა თუ ასი, არც ოთხასი მანეთი აღმოაჩნდა და რევოლიუციონერ-შანტაჟისტები კვალად უკუ იქცენ. ამ ამბავმა ჯგუფის უმაღლეს ინსტანციამდე მიაღწია და მუნით გამოვიდა სასტიკი განკარგულება: „ვაჭარი, რომელსაც 100 მანეთი არ აღმოაჩნდა 2000 მანეთით დაჯარიმდესო.“ როგორც მცოდნე პირები ამბობენ ვაჭარი იმდენათ ხელ-მოკლე ყოფილა რომ ვერც ამ 2000 მანეთს გადაიხდის თურმე.

მეორე გზის ს. რ. შ. ჯგუფისტები ლამით ეწვივნენ (ე. ი. დაეცენ) ერთ გლეხს. მოითხოვეს ფულები ზემო აღნიშნულ საქმისათვის. გლეხმა უარ ყო ფულის ქონება და ამან განარისხა სტუმართა გული. „ობისკის“ შემდეგ აღმოჩნდა 30 მანეთის ვერცხლი და ქაღალდი. ამან რასაკვირველია, უფრორე განარისხა ზვიადნი გულნი მათნი და წარიპარეს:

საათნი ჯიბისანი
ბეჭედნი თითისანი:
ჟამისა მაჩვენებლათ
თითის დასამშვენებლათ.

მაგრამ მარტო ამით არ დაკმაყოფილდა ჯგუფისტთა მოთხოვნილება. ვინაიდან მცირე იშოვეს „იარაღის“ შესაძენი ფულები, განიზრახეს ხელთ ეგდოთ ჭურჭელი რამე ყუმბარათა სატარებელი და მიზნითა ამით აღჭურვილებმა განხადეს პატრონსა სახლისასა შარვალი იგი და წარიტაცეს თანაარს სხვათა ნაპარევთა თანა.

სუსტი.

თეატრი და ხელოვნება.

ქუთაისის თეატრი. საოხუნჯო გაზეთ „ისარს“ ატყობინებენ ქუთაისიდან, რომ ხანგრძლივი ანგარიშის შემდეგ გამოურკვევიათ თუ რამდენი წმინდა შემოსავალი რჩება ქალაქის თეატრს თითო წარმოდგენიდან. როგორც აღმოჩნდა ყოველი წარმოდგენა თეატრს 100 **კაპეიკ** შემოსავალს უტოვებს, ხოლო თუ ელექტრონით განათების დროს ნავთის ფანრებს აღარ აანთებენ, მაშინ ამ თანხას მიემატება 1207 კაპეიკი. რაიცა საერთოდ შეადგენს 1307 კაპეიკს. ამ ფულებით განზრახულია ახალი შენობის აგება.

მედრამენი. ვაფრთხილებთ მკითხველებს, რომ აქ ლაპარაკი მღვდლების მისაცემ დრამაზე არ არის. დრამა ისეთი ნაწარმოებია, რომელშიაც ერთი კაცი მეორეს მოკლავს, ან ვინმე თავს მოიკლავს წარმოდგენის დროს. ასეთ დრამებს ნიჭიერი კაცები „წერავენ“. აი ახლაც, ყველასაგან ცნობილი მწერალი ბაქარა ბუაძე წერავს საინტერესო დრამას, სახელად **„თეთრი ყორანი“**. დრამას წარმოადგენენ არაქსიანის თეატრში (ავლაბარში).

სახსოვრად.

ნ—ს.

(მოკლე ბიოგრაფია).

ჯაშუშობდი, ჭამდი, მოკვდი,
აი შენი ისტორია!
ოხრათ დაგრჩა რაც გებადა,
თან არა რა წაგყოლია.

ტ.

ქ. ნიკობურგი.

(ძველათ ფოთი)

მოგეხსეენებათ მკითხველნო, რომ ფოთსაც ჰყავს საბჭო და გამგეობა, მაგრამ ისინი სხვებს არა გვანან, ვინაიდან დღე და ღამ იმის ფიქრში არიან, თუ რით გააუმჯობესონ მცხოვრებთა მდგომარეობა და ამგვარათ თითით საჩვენებელი გახდენ ,,ისტორიისათვის''.

ფოთის მვითმმართველობას, გარდა ნიკოსა, ჰყავს კაცი ვინმე, სახელად იონა, რომელსაც ექიმბაშთაგან ავადმყოფობის გამო ნარჩევი აქვს მუდამ სკამზე ჯდომა და ნაკლები სიარული, რაც მთავარი მიზეზი იყო ფოთელთაგან მისი გამგეობის წევრათ არჩევისა; მართალი მოგახსენოთ შემდეგში რას იზამს არ ვიცით, ხოლო ჯერჯერობით-კი გაამართლა ჩვენი იმედები... შეუდგა ქალაქის ხარჯების შესამცირებლათ სხვადასხვა „სტატიების'' ამოშლის და უწინარეს ყოვლისა უპირებს გაქარწყლებას საამბულატორიო საავადმყოფოს, როგორც ზედმეტი ხარჯების წყაროს. სამწუხარო ისაა, რომ მთლათ მოსპობას არ უპირებს, არამედ მხოლოდ იჯარით აძლევს მადა გაღვიძებულ ექიმებს ტერ-სტეპანოვს და მიქაბერიძეს. მიზეზი ისაა, რომ ყოველმა დაწესებულებამ მოსაგები უნდა მოუტანოს ქალაქს, თვარა ისე კასა გაცალიერების გზაზე დამდგარა *). ექიმები უმანკო კრავებივით ფოთის სამსხვერპლოზე შესაწირავათ გამზადებული ფიცავენ: ,,ჩვენ არავითარი პირადი ან მატერიალური ინტერესები არ გვამოქმედებს, არამედ ქალაქმა იხეიროსო. ღარიბებს, ვისაც უპრავიდან სიღარიბის მოწმობა ექნებათ 30 კაპ. გადავახდევინებთ, ,მდიდრებს“-კი „მეცნიერების“ უკანასკნელი სიტყვის თანახმათ გაუმჯობესებული მაკრატლით ვკრეჭავთო“, ამბობენ მოიჯარადრენი. ამდენხანს ღარიბები სულ უფასოთ სარგებლობდენ საავადმყოფოთი, „მდიდრები'' კი 30 კაპეიკათ. ამასთან ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, თუ როგორი ,,მდიდრები'' ეტანებიან ამგვარ საავადმყოფოს და მაშინ ნათელი იქნება მიქაბერიძე-ტერ სტეპანოვის ,,კრავობა''. იმასაც თუ მოვიგონებთ, რომ უპრავა სიღარიბის მოწმობას მხოლოთ სათათბიროს არჩევნების დროს იძლევა ყველა ნამდვილ მოქალაქეებზე, რომ ამით რაც შეიძლება გაწმინდოს და შეამციროს ამრჩევლები, თორემ ისე ყველას სიმდიდრის მოწმობებს აჩეჩებს ხელში, რომ გადასახადები მეტი შეაწეროს და კასაში მეტი ფულები მოზიდოს, მაშინ სულ აშკარა იქნება, რომ ქალაქის გამგეობა „პირნათლათ'' შეასრულებს მის ვალდებულებას; მისი ვალდებულება-კი ისაა, რომ ქალაქის მცხოვრებლების კეთილმდგომარეობაზე იზრუნოს და აკი ზრუნავს მიქაბერიძე-ტერ-სტეპანოვის გამდიდრებაზე...

ამგვარ უებარ საშვალებაზე ქალაქის გამგეობას, რა თქმა უნდა ყველა დაეთანხმებოდა, მაგრამ ერთათ-ერთი ექიმი ჩხენკელი არ ეთანხმება მაგრამ იმას ვინ გაუგონებდა? და საბჭოს მიერ არჩეულმა კომისიამაც მოიწონა მიქაბერიძე—ტერ-სტეპანოვის აზრი.

ეხლა ბ. ჩხენკელი წინადადებას იძლევა „საავადმყოფო ნუ დაიხურება და ნურც კერძო პირთ გასამდიდრებელ წყაროთ იქცევა და ექიმებმა უფასოთ იმსახურონ დღეში თითო ოროლა საათიო“. თავის მხრით თვითონც თანახმაა ამაზე ჩხენკელი.

ექვს გარეშეა, თუ ჩვენი მამები თავის ჭეშმარიტ გზას არ აცდებიან და ქალაქის ინტერესებს მხედველობაში მიიღებენ, არც ამაზე დაეთანხმებიან, მაგრამ როგორც ამბობენ იონას გადაუწყვეტია დაიცვას ის აზრი, რომ საავადმყოფო დაიხურება, თუ ექიმების „მადაზიათ“ გახდება, მას მაინც სახელათ „ქალაქის საავათმყოფო“ ერქმევაო.

რაღა გვიჭირს ფოთელებს იონას კალთაში.

კრეისერი

P. S. ჩემ თანამოქალაქეთა სახელით ვაცხადებ ყველა ქალაქების საყურადღებოთ, რომ ქალაქის საქმეები სადაც არეული იყოს და განსაკუთრებით ხარჯები ისეთ რამეებზე, როგორიც საავათმყოფოებია შესამცირებელ-მოსასპობი, ამის სისრულეში მოსაყვანათ შეგვიძლია დროებით იონას დათმობა. ვიმეორებ კიდევ მხოლოთ დროებით.

კრეისერი.

*) ჩვენში დარჩეს და მთლათ მტყუანი კი არ არის ამაში იონა. აბა რით უნდა დაიფაროს ის აუარებელი ხარჯები, რომლებიც მოსდის ქალაქს ნიკოს მუდმივი მგზავრობით და იონას მუდმივი ჯდომით? ამბობენ, თუ საავადმყოფო დაიკეტა „იჯარი“-ს ფულით ქალაქი „სონა ბაჯის“ ქუჩაზე სამიკიტნოს გახსნას აპირებს და აქედან დიდი შემოსავალი არის მოსალოდნელიო.

კრეისერი.

ანდაზა.

დაშნაკ-ცაკანმა ფეხი გამოყო:
მეც ესერ-ესერაო.

პროტექცია.

ვთქვათ, გიჭირს კაცს ცხოვრებაში:
ხან გწყურია, ხანაც გშია
და გსურს რამე სამსახური...
საჭიროა პროტექცია!

იქნებ რკინის გზაში მიხვალ,
გინდა გახდე კონდუქტორი,
უეჭველათ დაგჭირდება
ორი-სამი პროტექტორი.

ან ისურვე ,,უჩიტლობა''
და მიადექ დირექციას...
აქაც ისე, როგორც ყველგან
ვერ წაუხვალ პროტექციას.

იქნებ ,,სტრაჟათ'' მიბრძანდები...
ქურდობაში არ გყავს სწორი...
ხულიგანთა ბანაკიდან
აქაც გინდა პროტექტორი.

ვთქვათ, ეგზამენს იჭერ სადმე
და ,,სტროგია'' დირექტორი
რა თქმა უნდა: იმისთვინაც
უნდა გყავდეს პროტექტორი.

ასეთია, ძმაო, ეს დრო
უნდა მოგახსენო სწორი,
ფერდი ფერდზე მიგახმება
თუ არა გყავს პროტექტორი.

ჯოჯოხეთის მაშხალა.

გაფიცვები და მოთხოვნები.

ჩვენ, ჭიათურის სანიტარები, ვიღებთ რა მხედველობაში ხოლერის მოახლოებას და მასთან შეკავშირებულ ადგილობრივ სიპინძურეს, როგორც ადმინისტრატიულ-პოლიციურს აგრეთვე საზოგადოებრივსა;

ჩვენ ჭიათურის სანიტარები, ვიღებთ რა სახეში გარდა ზემო აღნიშნულისა, 16 აგვისტოს საეჭვო შემთხვევას და სხვათა მისთა მაგვარათა მოვითხოვთ მრეწველთა საბჭოსაგან:

1) მოგვეცეს 20—20 მანეთი თვიურათ მაგარ სასმელების შესაძენათ;

2) მოგვეცეს ნიორის ფასათ თვეში 1[illegible] კაპეიკი.

3) და მოგვეცეს 3 თვის „ოტპუსკი“ ჯამაგირებისა და ადგილის შენახვით.

წინაამდეგ შემთხვევაში ჩვენ უკიდურეს ზომებს მივმართავთ. მოთხოვნები ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა, რაზედაც ხელს ვაწერთ.

სანიტარები { ნ. მგალობლიშვილი, ა. რატიანი, დ. კლდიაშვილი

— ხე! ხე! ხე! ხე! დღეს მხოლოდ ერთი ექსპროპრიაცია მოვახდინე.

ხაზეინთა გულკეთილობა
და
მუშათა უმადურობა.

იარალოვის ქარხანა.

„რაც მოგივა დავითაო,
ყველა შენი თავითაო“.

ამ ბოლო წლებში გასაოცრათ დაამახინჯეს არა საიმედო პირებმა მუშათა შეგნების საქმე. კაცს მართლა ისე ეგონება, თითქო მუშის კეთილდღეობისათვის მარტო და მხოლოდ მარტო მუშა ფიქრობდეს. თითქო ხაზეინებს არ შესტკივოდეთ გული თავისი „ძმების“ ჭირ-ვარამზე და არ სურდეთ მათი კეთილდღეობის აღორძინება. რომ ეს მართლა ისე არ არის, როგორც ჩვენ მუშებს შეაგნებინეს, ცხადათ ამტკიცებს ჩვენი ქარხნის გამგის ,მამობრივი“ მზრუნველობა შესახებ მუშათა კეთილ-დღეობისა. შეხედა რა, რომ მუშათა ხელ-ფასი მართლა მცირე ყოფილა, რომ ის სულაც არ აკმაყოფილებს მათ უპირველეს და უსაჭიროეს მოთხოვნებს, გამგემ განიზრახა მათი მდგომარეობის გაუმჯობესება. ამისათვის პირველ ყოვლისა საჭირო დარჩა **„ნაჭრობით“** მუშაობის შემოღება. თურმე ყველა განათლებულ და კულტურულ ქვეყნებში (ოსმალეთში, სპარსეთში, ჩინეთში), „ნაჭრობით“ მუშაობა ყოფილა შემოღებული, ხოლო ჩვენს მუშებს ,,ბოროტი‘‘ ენების ჩაგონებით მოუსპიათ ასეთი ხელსაყრელი და ,,გამამდიდრებელი‘‘ წესი მუშაობისა. ხაზეინებს რასაკვირველია გული დასწყდათ, როცა მუშების ასეთი ,,შეუგნებელი‘‘ მოქმედება დაინახეს, მაგრამ გული დასწყდათ მუშების სასარგებლოთ. ქვეყანამ იცის, რომ ხაზეინები თავის ჯიბეზე აგრე რიგათ არა ზრუნავენ

ახლაც გამგის მამობრივ მზრუნველობას მუშებმა ეჭვის თვალით შეხედეს და ნაჭრობით მუშაობის განახლებაზე უარით უპასუხეს. მაგრამ ,,საბედნიეროთ‘‘ ყველა მუშა არ გამოდგა უმადური და ,,შეუგნებელი‘‘. შესდგა ერთი ჯგუფი, რომელიც მიზნათ ისახავს შეაგნებიოს დანარჩენ ამხანაგებს 1) როგორც „ნაჭრობით“ მუშაობის სარგებლობა ჯამაგირის გადიდების მარივ, 2) აგრეთვე 14 საათის მუშაობის უპირატესობა ახლანდელ 9 საათიან სამუშაო დღესთან შედარებით. იმათი აზრით, რაც მეტს ავარჯიშებ მუსკულებს, მით უფრო მაგრდება და ვითარდება ორგანიზმი მუშისა, რასაც კეთილი გავლენა აქვს მუშათა ჯანმრთელობაზე და მათი შთამომავლობის სისაღეზე. ასეთი შეგნებული მოქმედებისათვის ქარხნის მონაწილენი ,,ხახვის‘‘ მედლებით აჯილდოვებენ აღნიშნული ჯგუფის წევრებს. როცა მათ სასარგებლო მოღვაწეობას შეიგნებენ, ალბათ ახლანდელი ჩამორჩენილი, ნაჭრობით მუშაობის მოწინააღმდეგე და ხაზეინის უმადური მუშებიც საკადრისად დააჯილდოებენ თავის ,,მოწინავე‘ ამხანაგებს.

არჩილ ა.

ტარტაროზს. ჯოჯოხეთში

(პასუხი ოზურგეთიდან)

მძლეთა მძლეო ტარტაროზო,
მეუფეო ჯოჯო`ეთის!
პასუხი დაგიგვიანე,
გვაპატიე, სხვა რა გვეთქმის.
თითქმის თვეზე მეტი გადის
ვნახეთ თქვენი მონაწერი,
სიხარულით ფრთა შეგვესხა
და ვიცინეთ ბევრის ბევრი.
როგორც გვწერდი: მოვიკითხე
თქვენი სამფლობელოს ძენი
და თუმც ბევრი გავახარე,
ბევრი დამრჩა გულნატკენი.
ივლიანე სულ თავს იკლავს,
რო დასწამეთ ორჭოფობა;
ისე მწარეთ გაბუტულა,
მეც არ მითხრა გამარჯობა.
იცი ძმაო! ღვთის წინაშე
არც კი იყო ამის ღირსი,
წვრილფეხებზე ხელის გასვრა
არ გვგონია საკადრისი.
მე ის უფრო გამიკვირდა:
ნაოსიე რატომ დაგრჩა!
ან იქნებ არ გაგიგია
მან რომ 20 კაცი გასცა?

ადგილ. ჯოჯ. გამგე.

P. S. იმედია მომიკითხავთ
მანდ წამოსულ ამხანაგებს
ჩვენ კი ჯერე ვერ მოვდივართ,
ჯოჯოხეთი აქ გვავალეთ.

ად. ჯოჯ. გამგე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმრის ახსნა.

თავადი გარადებულ აფაქიძე ნახა—გეთილის: სათავად-აზნაურო სტიპენდიას მიიღებ 12 შვილისათვის.

თავადი გარლამ ერითსთავი ნახა—გეთილის: კვალად სტიპენდიას მიიღებ.

ღარიბი სტუდენტი ნახა – ავის: სტიპენდიას ვერ მიიღებ.

ჭიათურის საავათმყოფო ნახა არ ვარგა: სიკვდილს მოასწავებს.

იონა მეუნარგია ნახა—გეთილის; იჯარას აიღებ, ფულს მოიგებ.

ფედერალისტი ნახა—გეთილის: ქართული დაგავიწყდება.

გაზეთი ნახა—ავის: მოგატყუებენ.

ვლადიმერ მიქელაძე ნახა—გეთილის. ქალაქის სკოლაში ადგილს მიიღებ.

პროვინცია.

სოფ. გველეთი (ხევი) საჯაროთ ვაცხადებ, რომ მადნებისათვის ძლიერ საჭიროა გამოცდილი მუშები. „სტარში პრიკაშჩიკ“ ნიკოლას ყველა მიცნობს. ამასთანავე საჭირო და აუცილებელია მუშები უფრო თვინიერნი იყვენ და არა ისეთი ოხრები, როგორიც ამ წინაზე დავითხოვე. თითქო შარშანდელი დრო იყოს, აიტეხეს: ეს ქირის მომატებაო, ეს სამუშაო დღის შემოკლებაო და სხვა ამგვარები. ჩემი პირობა ასეთია: 1) სამუშაო დღე 15 საათი, 2) სამუშაო ხელფასი ჩემი სინდისის მიხედვით. 3) ფულის მიღება ერთი წლის შემდეგ კავკავში. 4) მუშაობისა და თავისუფლების დროს ეკონომიურ საგნებზე ლაპარაკი არ შეიძლება. სხვა წვრილმანს, მაგრამ მნიშვნელოვან „პრავილებს“ ადგილობრივ გაიგებთ.

ადრესი: ს. გველეთი ნიკოლა ჩ—შვილს.

—

ს. ბჟოლიეთი. რეაქციის შემდეგ ჩვენი სოფელი კვალათ გამოცოცხლდა! რამდენი ხანია ჩვენ დუქნებზე სისტემატიურათ კრებები იმართება, მაგრამ მიუხედავათ ხანგრძლივი კამათისა არც ერთი კითხვა ჯერ საბოლოოთ არ გადაჭრილა. ამით რასაკვირველია ახალგაზრდობას გული არ გასტეხია და ენერგია არ შემოლევია. კრებები კვალად იმართება იმავ წეს-რიგით და ხასიათის სიმტკიცით. ჯერჯერობით დაისვა შემდეგი კითხვები:

1) როგორ შეიძლება გამვლელ-გამომვლელთა ცხენებს ისე შეუხიცინო ჯოხით, რომ დაფრთხეს და მხედარი სადმე გადასჩეხოს.

2) რა ვვარათ შეიძლება ძაღლს კუდზე „ჟესტი“ მოება და შეშინებული ცხოველის ხტუნაობით და წვალებით მეტი სიამოვნება მივიღოთ.

3) ახალი სალანძღავი ტერმინოლოგიის შედგენა, როგორც ერთმანეთში მუსაიფის დროს, აგრეთვე გარეშე პირებთან მოსალაპარაკებლადაც.

გენია.

—

სოფ. გუბი. შესდგა კრება, რომელსაც სოფლის მოძღვარი უნდა აერჩია. (ახალი კანონით მღვდელს სოფელი ირჩევს) *). მოულოდნელათ კრების ახლო ერთი აურ-ზაური ასტყდა. იბრძოდენ საკანდიდატე მოძღვრები: არა მე უფრო კარგათ ვაცხონებ ხალხსა და არა მეო. ბრძოლა სასტიკ ხასიათს მიიღებდა, რომ საქმეში ხალხი არ ჩარეოდა. ჩხუბი ჭიდაობათ შესცვალეს და დიდი ხნის შემდეგ მოძღვარმა ლეჟავამ წააქცია ხუცესი ხაზარაძე. ამის შემდეგ გამარჯვებული შევიდა წმინდათა წმინდაში.

კირილე.

გზა და გზა.

სად. საჯავახო. მთელი გურიის ხალხი აქ გადმოდის, რადგან ოზურგეთის გზა არც თუ ისე საიმედოა. მიუხედავათ ამისა სამგზავრო მატარებელი, ერთს ჩამოიქროლებს კუდიან ვარსკვლავსავით და გაჰქრება. თუ ფეხ-მარდი არა ხარ ჩამოხტომას ვერ მოასწრობ და შეხტომა ხომ ნამდვილ ჯამბაზს თუ შეუძლია. რაიცა შეეხება ბარგის ატანას ეს ტყუილი ოცნებაა. გასაოცარი მოვლენაა! ნეტა ვიცოდეთ: მგზავრები არიან რკინის-გზისათვის გაჩენილი, თუ რკინის გზა მგზავრებისათვის. ყოველ შემთხვევაში ის კი ცხადია, რომ ბილეთ აღებულსა და სამგზავროთ გამზადილ ადამიანს, თუ ჯამბაზობა არ იცის, ხშირათ უწევს დარჩენა და ერთი დღით ან ღამით ადგილობრივი დუქნების კედლის ტილათა საწიწკნელათ გახდომა უბრალო სასჯელი არ არის.

შორაპანი. ზესტაფონის ჟანდარმებს შუამდგომლობა აღუძრავთ სადაც ჯერ არს, რომ ყველგან დაწესდეს ისეთი ჩვეულება სოფლიდან ჩამოტანილ სანოვაგეთა შესახებ, როგორიც ეს სადგურ შორაპანში არსებობს. საქმე იმაშია, რომ თითეული სოფლელი, ვინც აღნიშნულ სადგურზე რაიმე გასაყიდს ჩამოიტანს, ვალდებულია ნახევარი (შეიძლება მეტიც რასაკვირველია) ადგილობრივ ჟანდარმებს უთავაზოს. ეს ასეა არა მარტო რკინის გზის ფარგლებში, არამედ ყვირილას გაღმა დუქნებშიაც, მაგრამ მარტო სოფლელებზე კი. როგორც გავიგეთ ზესტაფონელთა თხოვნა მთავრობას უყურადღებოთ დაუტოვებია, რადგან შორაპნელებმა თუ ასეთი გავლენა და „პატივისცემა“ მოიპოვეს, ეს მათი კერძო მოქმედებით და არა მთავრობის ნებართვით მოხდაო.

სად. გორი. შაბათს (25 აგვისტოს) როცა ბათუმიდან მომავალი საფოსტო მატარებელი ჩამოდგა, კინაღამ საშინელი ამბავი დატრიალდა. ერთმა კონდუქტორმა მგზავრების მოგერების დროს წიხლი ჰკრა და გადმოაგდო ერთი ბავშვი თავისი მამით. გაიმართა კრივი. როგორც კონდუქტორი, აგრეთვე მგზავრ-ც ენერგიულათ იბრძოდენ. საქმეში ადმინისტრაციაც ჩაერია და ორიოდ მუშტი ამანაც წასთავაზა ურჩ მგზავრს, რომელიც იმდენათ სულელი გამოდგა, რომ ბილეთი ეყიდა და ჰქონებოდა ვაგონში შეგიშვებენო. ის კი არ სცოდნოდა, რომ ახლა ბილეთიანებს კი არა უბილეთოებსაც დიდი გაჭირვებით იღებენ კონდუქტორები.

ხოლერა.

ბათუმი. ხოლერის მოახლოვებამ ძლიერ დააფიქრა ჩვენი ქალაქის მამები. მოუხშირეს კრებებსა და ლაპარაკს. სანიტარული ცოდნის შესასწავლათ ერთი ექიმი სტამბოლში იგზავნება, ხოლო ორი ასტრახანში; დ. ჩიჩუა-კი ქუთაისში.

ჩოხატაური. ადგილობრივი ვაჭრები გუბერნატორთან საჩივარს ამზადებენ ჩოხატაურის ბოქაულზე, რომელმაც ბაზარში ღორების გაშვება აკრძალა. საქმე იმაშია, რომ ხოლერა კარზე მოგვადგა და ადგილობრივ ბაზრის წუმპეებს მხოლოდ ღორები აშრობენ. ახლა მცხოვრებნი დიდს გასაჭირში ჩავარდენ და იმედი აქვთ გუბერნატორი შეიწყნარებს მათ შუამდგომლობას. როგორც ამბობენ ბოქაულსაც მაგარი საბუთი აქვს ღორების წინაამდეგ წასაყენებლათ. საქე იმაშია, რომ ადგილობრივი სტრაჟნიკები ყველანი ინგუშები არიან და მაშადის რჯული უკრძალავს მათ ღორის დანახვას.

---

*) ეს ასე არ არის მხოლოდ ერწოს ზოგიერთა სოფლებში, სადაც მღვდელი თურქაძე ვერას გზით ვერ მოიშორა მრევლმა.

ჭიათურული გამოცანა.

ჭიათურაში გიახელ
დავდექი ეკანომათა,
„ბალნიცას“ ქერქი შევაძვრე
შოვნა მილირდა შრომათა.
ჩაი-შაქარს და ღვინოსა
არ დავაკელი ხელია;
(ოდეს სურსათი სჭარბობდეს
ცხოვრება სანატრელია!).
შემიტყო ჩვენმა გიორგიმ:
ლამის აჭკუწა დანითა,
გამიბურთავა საჯაროთ
მთელი სიგრძე და განითა.
ამომიჭირა პანჩური
და გამომაგდო გარეთა,
ულუკმა-პუროთ დამტოვა
პირ შერცხვენილი მწარეთა.

მაგრამ გამჩენის წყალობით
შევუძვერ რიჟა-გიოსა,
სხვა-და-სხვა საქმე მომანდო
ხალხმა რომ უკან მდიოსა.
და ეკონომის მაგივრათ
ტიტული მომცა „ჩლენისა“
მისი მარჯვენის ჭირიმე
იმისი რიჟა წვერისა.
განვლო დრომ... მოულოდნელათ
სკუპი ვქენ გიოს სკამზედა,
ბედმა მარგუნა... არც მიკვირს
მშვენოდეს ჯდომა მაზედა.

მაგრამ ვის შერჩეს ერთი დრო?
აღარც ის შემრჩა სრულათა,
„ტიტული“ თუმცა დავკარგე
ფული კი შემრჩა ფულათა.
ამჟამად ისევ საბჭოში
დანიშნული ვარ წევრათა,
და დამავებულ მუშების
მთავარ ანგელოზ მცველათა.
საქმეს შევუდგენ, მაგრამ ფულს
ვერ შეველევი სრულათა.
(სხვას თუ მოყვრობას გავუწევ
ჩემ თავს რათ შევხვდე მტრულათა?)
ორ წილს ჯიბეში ჩავიდებ
მუშას ეყოფა ერთიცა
და მომიწონებს ამ საქმეს
კაციც და თითონ ღმერთიცა.

ბომბა.

ხაზეინთა შორის.

ბათუმის პარიკმახერები. ბათუმის მეყასბეებ-მიკიტან-ვაჭრების მოქმედებამ ბევრ ხაზეინს აუხილა თვალი და ფრთები შეასხა. სხვა ხაზეინებთან ერთათ პარიკმახერ ხაზეინებმაც თავი მაღლა აიღეს და თვალები დაპრაწეს. მეყასბე-მიკიტან-დრეების



— გამიწიეთ დახმარება უმუშევარს!
— ეს! ვერ მიყურებ, არც მე ვმუშაობ, ითამაშე როგორც მე ვთამაშობ ბირჟაზე და თავის დღეში აღარ მოგშივა.

მიხედვით იმათაც გამართეს კრება და შემდეგი დაადგინეს:

„რადგან ამ რამდენიმე ხნის წინათ შეგირდები გაგვეფიცენ, არც თვითონ მუშაობდენ და არც ჩვენ გვამუშავებდენ და ამით დიდი ზარალი ვნახეთ, ამიტომ ზარალის ასანაზღაურებლათ შემდეგ ნიხრს ვაწესებთ:

1) თავის გაკრეჭა მაკრატლით — 30 კ.
2) თავის მოპარსვა — 40 კ.
3) წვერის გაკრეჭა — 25 კ.
4) მოპარსვა — 35 კ.
5) წვერის და თავის საარშიყოთ გალამაზება — 50 კ.
6) თავის დაბანა და ოდეკალონის სხურება — 80 კ.

მოსამსახურეები ვალდებული არიან (რადგან მათ არავითარი კავშირი არა აქვთ და ჩვენი დადგენილების წინააღმდეგ ვერ წავლენ):

1) შეგირდმა სამი წელიწადი იმსახუროს უჯამაგიროთ.
2) სამი წლის შემდეგ შეგირდს მიეცეს წელიწადში ათი მანეთი, თუ უკმაყოფილო დარჩა და წინააღმდეგობის გაწევა მოინდომა, მოსაგების ნაწილში შევიყვანოთ და გაჩუმდება.
3) მუშაობა ყოველ დღე, კვირა იქნება თუ ორშაბათი.
4) სამუშაო დღე 17 საათი.

ეს დადგენილება სავალდებულოა ყველა შეგირდ-მოსამსახურეებისთვის, ისე როგორც მათი დადგენილება იყო ჩვენთვის სავალდებულო თავისუფლების დღეებში.

მეთვალყურე დაკუნია.

დეპეშები.

კავკასია.

ბათუმი. ბათუმის ცნობილი ვაჭრები: კუცური, საბაევი და ჩერტკოვი ადლებითა და ჩოთქებით შეიარაღებულნი თავს დაესხენ ქუჩაში მიმავალ ანარხისტ-კომუნისტებს და 10000 მანეთი წაართვეს. თავდამსხმელნი უგზო-უკვლოთ მიიმალენ.

იქიდანვე. სინოდის განკარგულებით ბათუმში ჩამობრძანდა გურიის უგანათლებულესი კნეინა „წმინდა“ ნინო. როგორც ამბობენ უგანათლებულესის ჩამობრძანებას კავშირი აქვს ერმოლოვის საქმის გამოძიებასთან.

კნეინაზე სული წმინდა გადმოსულა და შთაუგონებია: საქმეში ერთი სტუდენტიც ურევიაო.

სტეფან-წმინდა. სამკითხველოს ჭირისუფლებს სამი ცალი თუჯის ყუთი გამოუწერიათ სამხლვარ გარეთიდან წიგნების ჩასაწყობათ, ვინაიდან კომისიის გამოკვლევით აღმოჩნდა, რომ ხის ყუთში შენახულ წიგნებში თაგვებს გაუკეთებიათ ბუდე. კიდევ ერთხელ მართლდება ქართული ანდაზა: „ავი კაცი არც თითონ სჭამს და არც სხვას აჭმევსო.“ თითონ ხომ მაინც აღარ სჭირიათ წიგნები და დაე თაგვებმა მაინც ისარგებლონ!

ს. ჯურუყვეთი. ს. აცანაში მოკლული სტრაჟნიკის ცხენს ცალი თვალი დაშავებია. ეს ამ დღეებში გაიგო ბ-ნმა ბოქაულმა და თითო მამაკაცს მთელ საზოგადოებაში ორ-ორი შაური შეაწერა.

ოზურგეთი, ამ დღეებში სამაზრო სამმართველოს დარბაზში წარმოდგენილ იქნება ცნობილი დრამა „ღალატი.“ მონა-

წილეობას მიიღებენ ადგილობრივი სცენის მოყვარენი: ვაჭრები, გახუნებული აზნაურები, ქალაქის თვით მართველობის ზოგიერთი მოხელენი და სხვა კომიკები. როგორც გავიგეთ როლები ყველას საუცხოოთ სცოდნია ანტრაქტების დროს ეგზეკუციონისტთა ხორო იმღერებს მელოდიას „ვაი, ვაის“ ხმაზე. ფასი ბილეთებისა ჩვეულებრივია.

რ უ ს ე თ ი.

ᲐᲓᲔᲡᲐ. ოფიციალურათ ნაბრძანებია: გრაფმა კონოვნიცინმა თავისი რაზმელები დღითი დააბას და ღამ-ღამობით აუშვას ხალხის შესამუსრავათ. ასეთი მაგალითი ჯერ -ძალლებზე უცდიათ და მშვენიერი გამომდგარა.

ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ. პოლიციის დეპარტამენტმა, იუსტიციის სამინისტროსთან შეთანხმებით დაადგინა: შესდგეს ახალი რაზმი დვორნიკებისა ველოსიპედებით შეიარაღებულნი, ექსპროპრიატორთა სადევნელათ. ამასთანავე დადგენილია თითეულ გოროდოვოის ეახლოს თითო ძალლი (მწევარი), ხოლო ბოქაულებს ორ-ორი (მწევარი და მეძებარი).

ᲙᲘᲔᲕᲘ. (საგიჟეოიდან) ბერ-მონაზონი ილიოდორეს ჯანმრთელობა კარგს არას გვიქადის. კვლავ განაგრძობს ძველებურ ბოდვას საიქიოს შესახებ. ამბობს: იქ მე ვიქნები „ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ თავმჯდომარე ხოლოდუბროვინი კი უბრალო ბერია.

უ ც ხ ო ე თ ი.

ᲗᲔᲘᲠᲐᲜᲘ. მთავარი ვეზირი ათაბეგ აზამის სიკვდილის გამო მთელი სპარსეთი ძალით მოიცო. ცოტათ თუ ბევრათ შეძლებული ქალაქები განსვენებულის პატივსაცემლათ ილიუმინაციებს მართავენ და ქუჩებს აჩირაღდნებენ.

ᲞᲠᲔᲡᲡᲐ.

ჯერ სოციალიზმის დაარსება და მერმე თვითმპყრობელობის მოსპობა, თუ ჯერ თვითმპყრობელობის მოსპობა და მერმე სოციალიზმის დაარსება!

აი თავ სატეხი საკითხი თანამედროვე მწერლობისა! და ამ კითხვაზე გადაჭრილ ბასუხს იძლევა ს. რ პარტიის კავკასიის საოლქო ორგანო. მას შემდეგ, რაც აღნიშნული პარტია დაუძმობილდა ცნობილ რევოლიუციონერ დაშნაკ ცაკანებს, ტაქტიკამაც სხვა ხასიათი მიიღო და ქარიგით მიისწრაფის პირდაპირ სოციალიზმისაკენ. გაზეთის აზრით თვითმპყრობელობასთან ბრძოლა აგვიანებს და აძნელებს სოციალიზმის საქმეს. დროა „ზურგი ვაქციოთ თვითმპყრობელობას“ და პირდაპირ სოციალიზმი შემოვიღოთ, ხოლო, როდესაც სოციალიზმი ხელთ გვექნება, მაშინ თვითმპყრობელობასაც ადვილათ მოუგრეხთ კისერსო ამბობენ ისინი.

გასაოცარია ასეთი მარტივი აზრი რატომ არც-ერთ პარტიას არ მოუვიდა დღემდის თავში? სოციალიზმის დროს ადამიანს ყველა ის თავისუფლება ექნება, რომლისთვისაც ახლა იბრძვის და ასეთი პოლიტიკური უფლებებით აღჭურვილს დიახაც არ გაუჭირდება თვითმპყრობელობასთან ბრძოლა.

უწინარეს ყოყლისა „ორგანოს“ აზრით სოციალიზმი ბაქოში უნდა განხორციელდეს. რატომ, არ იკითხავთ! იმიტომ რომ აქ თითქმის ყველაფერი მზათ არის სოციალიზმის განსახორციელებლათ. საქმე იმაშია, რომ ბაქოს უმთავრეს ფირმების პატრონები საზღვარ-გარეთ იმყოფებიან და ადგილობრივი წარმოების არარა გაეგებათ. ასეთ მარჯვე დროს სოციალისტები ველარ შეხვდებიან ახლო ხანებში, რადგან შეიძლება ქარხნის პატრონები რუსეთში დაბრუნდენ.

ბაქოს ჟურნალ-გაზეთები ს. რ. პარტიის ამგვარ გამოფხიზლებას დაშნაკ-ცაკანთა გავლენას აწერენ; ჩვენი აზრით ეს შემცდარი შეხედულობაა და ამგვარ მოქმედებას საკუთრივ ს.-რევოლიუციონერთაგანაც მოველოდით.

ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ.

(„სოციალ-დემოკრატები“ ილია ნაკაშიძისა)

არა სასიამოვნო მოვალეობა ბიბლიოგრაფისა გვაიძულებს ფილისფრაკი ისეთ უშინაარსო საგნებზე, როგორიც არის ბ ნ ი ილია ნაკაშიძე და მისი სიტუვიერი ნაოფიერება. რა გაეწყობა; ნათქვამია:

„ვისაც რაცა ბედმან მისცეს,
დასჯერდეს და მას უბნობდეს“.

ამიტომ მეც უნდა აღვნიშნო მკითხველთა წინაშე, რომ რაც ამ ორი წლის განმავლობაში ქაფი მოიყარა ილია ნაკაშიძის ადუდებულმა ოცნებამ და რომელიც „მეგობარ“-„ისარის“ ფურცლებზე იყო აქა იქ მოცხებული, დღეს სახელოვან ავტორს ერთად შეუკრებია და ორ შაურათ ყიდის. სიუძლურემდე განვითარებულ აზროვნებას „ბოეტისას“ როგორც ჩანს „საფანელი“ შემოდევია და გაკოტრებული მეწერიმალისა არ იყოს „ძველი თამასუქებისათვის“ მიუყვია ხელი. რადგანაც ილია ნაკაშიძეს „მოგების“ ანგარიშებს გერ შეგწამებთ, ცხადია მას „ბრინციპიალური“ მოსაზრება ამოქმედებს და მით უფრო ძნელია, გამდიდრების ოცნებაში დაბერებული მეწერიმალის გაკოტრება!

უნდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ „კრებული“ სრული არ არის, მაგრამ აქედანაც ადვილათ გამოიყვანთ სამართლიან დასკვნას ავტორის „შემოქმედობითი ნიჭის“ ბარალიერ მდგომარეობის შესახებ. მუდამ ეროგვარი კიდო, ერთნაირი შინაარსი და ერთი მიზანი, მომავლისათვის დიდს არაფერს უქადის თუნდაც „სოციალ-დემოკრატისტთა“ ლიტერატურას.

ᲥᲕᲔᲚᲛᲝᲥᲛᲔᲚᲔᲑᲐ.

ვინც დღეს დღეობით თავის თავს სრულ წლოვანათ სთვლის, ყველას ეხსომება ის **დიდებული დღესასწაული**, რომელიც ქართველმა **ერმა** (ე. ი. თავად-აზნაურობამ) გადაიხადა რუსეთთან შეერთების 100 წლის თავზე.

„ქართველთა“ უზომო ერთგულებით გულ-აჩვილებულმა მთავრობამ წლიურათ 40—40 ათასი მანეთი აჩუქა ამერ-იმერთა წარჩინებულ წოდებას შვილების ამოსაზრდელათ.

ეს ფულები იმერ ქართველთა გამნაწილებელ კომისიას უკვე დაუნაწილებია: ოზურგეთის მაზრაში ვარლამ ერისთავისათვის, ლ. ჯაყელისა და სხვა ამგვარ გაჭირვებულთა დასახმარებლათ. ზუგდიდის მაზრაში. თავად ვარდ. შაფაქიძისა და ვაჭარ კარტოზიას შვილებისათვის.

„ᲨᲣᲐᲛᲐᲕᲚᲘᲡ“ ᲤᲝᲡᲢᲐ.

ᲮᲝᲜᲘ. პ რ ო ლ ე ტ ა რ ს. კარტის თამაში დღესდღეობით საზოგადო სენია. ჯაშუშობაც ძლიერ ხშირი მოვლენაა. თქვენი წერილი არ დაიბეჭდება.

ᲕᲘᲐᲗᲣᲠᲐ. პ ა ა ტ ა ს. ჩვენი აზრით საეალდებულო არ არის: გეხერხება თუ არ გეხერხება მაინცა და მაინც ლექსი დასწერო. არ ვიცით რა ძალა დაგადგათ, რომ აიძულეთ თქვენი თავი, უეჭველათ ლექსათ მოგეწერათ წერილი, როცა ნათლათ ხედავდით, რომ ლექსი აღარ გამოდიოდა. ლექსს რომ თავი დავანებოთ, შინაარსიც არ არის შესაფერი და ამიტომ თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება. გარდა ამისა გახსოვდეთ, რომ წერილზე სახელისა და გვარის მოწერა არის საჭირო.

ᲒᲐᲗᲣᲨᲘ. ს ა ნ დ რ ო ს. თქვენი წერილის შესახებ ტყვილა უბრალოთ შეგიდგენიათ ასეთი აზრი: „გოჭმა კუდი ააბზიკა, მეც ნახირ-ნახირაო“, თქვენ წერილს ვერ ვბეჭდავთ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენი გაზეთისათვის ეროობ გრძელი და შეუფერებელია.

ᲛᲐᲯᲐᲡ. თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება, რადგანაც იმ გმირის შესახებ არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა დაწერილი ჩვენს გაზეთში. თუ არ გეწყინებათ, არც ლექსია მაინცა და მაინც...

ბათუმი. დ ა კ უ ნ ი ა ს. თქვენგან უფრო საყურადღებო წერილებს მოველოდით. არა გვგონია საზოგადოებისათვის დ˜დათ საინტერესო იყოს: ნაპარევ ძროხებს კლ-ვს˜და ასაღებს ბათუმელი ყასაბი ივანე კაკაბაძე, თუ კეთილ შენაძენს. ამისათვის ცალკე პოლიცია და სასამართლოა დაწესებული. ქურდობა იმათი საქმეა, ხოლო ჩვენ მოგვწერეთ უფრო საზოგადო ხასიათის ცნობები. ზემო ა˜ნიშნული მოსაზრების მიხედვით, თქვენი წერილი „ძროხათა პარვის“ შესახებ არ იბეჭდება.

ოზურგეთი. ბ ა ხ უ ს ს. ოზურგეთიდან მიღებული წერილის თანახმად გთხოვთ გვაცნობოთ: რადგანაც აღნიშნულ ქალაქში ბ˜ვრი ყოფილა გ. ჯ—ძ ე ნ ი რომელ მათგანს გულისხმობთ თქვენ წერილში.

რედაქტორ-გამომცემელი
ს. კეკელიძე.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ჩვენი გზა

გამოდის თფილისში 1907 წლის ! ენკენისთვიდან

მიიღება ხელის მოწერა როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარეთ.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით ქალაქ გარეთ 90 კაპეიკი.

დასაბეჭდათ გამოგზავნილი წერილები სუფთათ უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ერთი თვით ინახება მხოლოდ ვრცელი წერილები. წერილობითი ცნობებისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადათ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება დილის 12 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე. კვირა-უქმეობით დილის 11-დან 12 საათამდე.

რედაქციის დროებითი კანტორა არის სორაპნის სტამბაში მადათოვის კუნძულზე.

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტ. პეტიტით 15 კ., მეოთხეზე 10 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „Чвани Гза“.

ელექტრომბეჭდავი
ამხანაგობა

„შ რ ო მ ა“

ყოველგვარ საბეჭდავ საქმეს ასრულებს სუფთა და სწრაფად დაკლებულ ფასებში.

თითქო ცხრა ვედრო ღვინო ჩადიოდა ამ ოხერში!
ახლა რაღა ეშმაკმა დააკლო 2 ვედრო.
ლამის დამჭამონ ვაჭრებმა!